საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #32

2019 წ. 20 ნოემბერი 15.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ო.გრიგოლია, ქ.ჯოხაძე
ლ. არველაძე, ა.ხუჯაძე,
ნ.რუხაძე, ფ.ინჯია,

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ანდრია ბასილაია, უფროსის მოადგილე ვიქტორ წილოსანი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე, უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარის მ/შ ლ.დარახველიძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.დარახველიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ (#12-0319319121-03 15.11.2019წ.)

მოისმინეს:

ქ.თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ანდრია ბასილაიამ წარმოადგინა 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომლის მიხედვითაც ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები დაფინანსებულია 2922,6 ათ.ლარით. მათ შორის:

ბიზნესის სტიმულირება (კოდი : 04 01) - დაფინანსდება 1561.5 ათასი ლარით;

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 2018 წელს ევროკავშირის გრანტის ფარგლებში მცირე და საშუალო ზომის კომპანიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ბიზნეს აქსელერატორი, რომლის საშუალებითაც ბენეფიციარებისათვის შეიქმნება ბიზნეს-გეგმები 8 პრიორიტეტული სფეროს შესაბამისად, საკონსულტაციო ჯგუფებთან და უცხოელ ექსპერტებთან ერთად თემატურ საკითხებზე გაეწევათ კონსულტაციები და ჩაუტარდებათ ტრენინგები - 384592 ლარი; ბიზნესის მხარდაჭერა ადგილობრივ გამოფენებში - 195408 ლარი; გრანტის ფარგლებში აყვანილი თანამშრომლების ანაზღაურება - 298000 ლარი;

ინოვაციური იდეების კონკურსი დამწყები ბიზნესებისათვის - 63500 ლარი;

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმი - 130000 ლარი;

გამოფენა-გაყიდვა „თბილისური ბაზარი"-ს მოწყობა - 490000 ლარი;

თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი: 04 03) - დაფინანსდება 250.0 ათასი ლარით;

თბილისის საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობების წარმოსაჩენად საინფორმაციო-საინვესტიციო კატალოგების და ტურისტული ბროშურების და კატალოგების ბეჭდვა - 50000 ლარი;

დამწყები და მცირე ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კვლევა - 200000 ლარი;

თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი: 04 04) - 116.1 ათასი ლარით;

ევროპის მთავარ ქალაქთა ქსელის საწევრო -16100 ლარი;

საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა/ორგანიზება - 70000 ლარი;

საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ასოციაციებში თბილისის გაწევრიანება - 30000 ლარი;

თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი : 04 08) – 610.0 ათასი ლარით;

თბილისის ტურისტული პოტენციალის შესწავლა, მ.შ ეკო-ტურისტული მარშრუტების შესწავლა თბილისის გარშემო ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა -

ეკო-ტურისტული ბილიკების მარკირება (მინიმუმ 5 ეკო-ტურისტული ბილიკის) და საბავშვო-საოჯახო ტიპის საკემპინგე ადგილების მოწყობა – 90000 ლარი;

ტურიზმის სექტორის ბეჭდური და ციფრული გამოცემების ჟურნალისტების, ბლოგერების და ტურისტული ასოციაციების წარმომადგენლების თბილისის ტურისტული პოტენციალის შესასწავლად მოწვევა (ინფოტურები), მათი ვიზიტების ორგანიზება და თბილისის ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენად შესაბამის გამოცემებში ინფორმაციის განთავსება (მოიცავს განთავსების ხარჯებს, ავიაბილეთებს, კვებას, გიდებს, ტრანსპორტირებას) – 190000 ლარი;

სექტორულ ასოციაციებში და guide book-ებში თბილისის გაწევრიანება - 30000 ლარი; ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის თემატური ტრეინინგების ორგანიზება (მათ შორის მენტორის ტრეინინგი) – 30000 ლარი;

დედაქალაქის ტურიზმის სტრატეგიის შემუშავება - 150000 ლარი;

ადგილობრივი თემატური ღონისძიებების ორგანიზება/თანაორგანიზება, მათ შორის შეხვედრების ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან - 40000 ლარი;

ადგილობრივ თემატურ გამოფენა/ღონისძიებების ორგანიზება/თანაორგანიზება, მათ შორის Matchmaking & networking - HORECA. მაგ: Challenge Georgia, კულინარიის სამიტი, წელიწადში 2-ჯერ შეხვედრები ინდუსტრიის წარმომადგენლებთან. საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და ორგანიზება/თანაორგანიზება, კერძოდ თითოეულის მივლინების ხარჯი: ავიაბილეთები, შიდა ტრანსფერები: სასტუმროში განთვასება; დღიური ანაზღაურება; სტენდის ხარჯი; მონაწილეობის საფასური და ა.შ. დედაქლაქის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნით საერთშორისო ტურისტულ და თემატურ გამოფენა/ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, სადაც თბილისი წარმოჩინდება როგორი ტურისტული მიმართულება და პოზიციონირდება როგორც Night life, gastronomy & urban destination. Target market-ებზე საერთაშორისო გამოფენები/city exhibitions - EU, GCC, იაპონია, კორეა, ჩინეთი ღონისძიებები: ITB (ბერლინი), Cottm (პეკინი, ჩინეთი), ATM (დუბაი), Top Resa (პარიზი), JATA (ტოკიო), WTM (ლონდონი), IBTM (ბარსელონა). IMTM (ისრაელი), FITUR (მადრიდი), EMITT (სტამბული) - 80000 ლარი;

ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი: 04 09) – 385.0 ათასი ლარით;

საინვესტიციო ბიზნეს ფორუმის ორგანიზება და თანაორგანიზება/თანაორგანიზება და მონაწილეობის მიღება - 50000 ლარი; (დარბაზის ქირაობის ხარჯი, ყავის შესვენების ხარჯი, კონფერენციისათვის ტექნიკის ქირაობის ხარჯი, სინქრონული თარგმანის ხარჯი). შეხვედრები ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, ეკონომიკური განვითარების სამსახურის დაგეგმილი პროექტების გაცნობა/პრეზენტაცია ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორებისთვის (წლის განმავლობაში არანაკლებ 3 შეხვედრა და თითოეული შეხვედრა არანაკლებ 25 პერსონის მონაწილეობით – 15000 ლარი;

ახალი საინვესტიციო პროექტის შედგენა, რომლის წარდგენა მოხდება ინვესტორებისათვის, შემდგომი ინვესტირების მიზნით - 120000 ლარი;

პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორების მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება და საინფორმაციო კამპანია დაფინანსდება - 100000 ლარით;

სამუშაო ძალის უნარ-ჩვევების კვლევა პრიორიტეტული სექტორების მიხედვით - 100000 ლარი;

კომისიის წევრების რეკომენდაციით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებები ორიენტირებული უნდა იქნას კვლევებზე. შესაძლებლობის ფარგლებში საჭიროა საბიუჯეტო წლის განმავლობაში გათვალისწინებული იქნას თანხა ღამის ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებულ კვლევებზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქ.თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნას ზემოაღნიშნული პრიორიტეტი.

ლ.დარახველიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ლ.დარახველიძე